# მომავალი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 96 კვირა, 20 დეკემბერი 1909 წ. № 96

გაზეთი „მ ო მ ა ვ ა ლ ი“ ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ე რ თ ი წ ლ ი თ 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. თვიურათ: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. სამი თვით თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კაპ. საზღვარ გარეთ—ორჯელ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისში ღირს.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ს ფ ა ს ი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კაპ. უკანასკნელ—ზე 10 კაპ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპოდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ე რ თ ი შ ა უ რ ი. რედაქციის ადრესი: თფილისი, რუსის ქუჩა № 3.



ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ცალკე ნომერი ერთი შაური — „მ ო მ ა ვ ა ლ ი“ — ცალკე ნომერი ერთი შაური

## მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის.

**გ ა ზ ე თ ი ღ ი რ ს:**
თფილისსა და თფილისს გარეთ: ერთი წლით 7 მანეთი, ნახევარი წლით 4 მან., საზღვარგარეთ: ერთი წლით 14 მან., ნახევარი წლით 7 მან. სამი თვით: თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კ., ერთი თვით: თფილისში 80 კაპ., თფილისს გარეთ 90 კაპ.

**ხ ე ლ ი ს მ ო წ ე რ ა მ ი ი ღ ე ბ ა:**
თფილისში „მომავალი“-ს კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ჭიათურაში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში ის. კვიცარიძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან—წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში—მ. ოალკვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში ზ. ურუშაძესთან. დანარჩენ ადგილებიდან ფოსტით უნდა გამოგზავნონ ფული რედაქ. კანტორაში.

რადგან ადრესების დამზადება ბევრ დროსა და შრომას მოითხოვს—იმ ხელის მომწერლებმა, რომელთაც მომავალი წლის 1 იანვრიდან სურთ გაზეთის მიღება, აუცილებლათ ამა წლის დეკემბრის გასვლამდე უნდა მოაწერონ ხელი.

რედაქციის ადრესი: რუსის ქ. № 3, ზემო სართული. ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. «Шрома», Калистрату Конст. Цуладзе.



# გლეხი კაცის ისტორია

მიიღება ხელის მოწერა

## „გლეხი-კაცის ისტორია“-ზე

ცნობილი თხზულება **ერკმან-შატრიანისა.** სრული თარგმანი ფრანგულიდან **ივ. მაჭავარიანის** მიერ, ავტორთა სურათებით და მათი ბიოგრაფიული ცნობებით.

**შ ი ნ ა ა რ ს ი წ ი გ ნ ი ს ა:**

ნაწილი პირველი—1789 წ. საერო კრება.
ნაწილი მეორე—1792 წ. სამშობლოს განსაცდელი.
ნაწილი მესამე—1792 წ. წელიწადი პირველი რესპუბლიკისა.
ნაწილი მეოთხე—1789 წ. მამულიშვილი ბონაპარტი.

ოთხივე ნაწილი ერთ წიგნათ გამოვა დაახლოვებით 1100 გვერდამდე დიდი ფორმატის. ხელის-მოწერით ეღირება მხოლოდ **ერთი მანეთი.**

ხელის-მოწერა დაიწყო ამა 1909 წლის 15 ნოემბრიდან, გაგრძელდება 1-ლ იანვრამდე მომავალ 1910 წლისა. ხოლო ამ დღიდან შესწყდება ხელის-მოწერა და ორი კვირის შემდეგ წიგნის ბეჭდვას შევუდგებით. დაიბეჭდება **იმდენი, რამდენიც ხელის-მომწერი იქნება.**

ვისაც სურს ამ წიგნის შეძენა, უნდა ეცადოს უსათუოდ 1-ლ იანვრამდე მოაწეროს ხელი, ვინაიდან ეს წიგნი **ცალკე გასასყიდათ არ გამოვა.**

იმ ადგილებიდან, სადაც ჩვენ აგენტები არ გვყავს, ხელის-მომწერლებმა ერთი მანეთის გარდა უნდა გამოგზავნონ კიდევ ა თ ი შ ა უ რ ი ფოსტის ხარჯათ ე. ი. სულ 1 მ. 50 კ. თითო წიგნზე; ფულის მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკების გამოგზავნაც საგანგებო წერილით. (ЗАК. ПИСЬМО). გამომცემლობა ეცდება წიგნი დანიშნულ დროზე გამოსცეს. გამოცემის ტეხნიკური მხარე მტკიცე ნიადაგზე დავაყენეთ და ისეთი დაბრკოლება, როგორიც მოხდა „ეკონომიურ მეცნიერების მოკლე კურსი“-ს გამოცემაზე, ამიერიდან აღარ განმეორდება. წიგნი დაახლოვებით პირველ აპრილისთვის დაურიგდება ხელის-მომწერთ.

თუ სად და ვისთან მიიღება ხელის მოწერა, ამის შესახებ იხილეთ ცალკე განცხადება, რომელიც „მომავალის“ და „დროები“-ს 6 დეკემბრის ნომრებთან ერთად დაურიგდა ხელის მომწერთ.

ფული და სხვა მიწერ-მოწერის ქაღალდები, აგენტურის და ხელის-მოწერის შესახებ უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Василію Гадилія. Кирочная ул. № 9.

წიგნების გამომც. ამხ. „ალიონი“-ს გამგე ვასილ გადილია.
(20—13)



ღრმეს მადლობას ვწირავ მათ, ვინც პირადათ, ან წერილობით თანაგრძნობა გამომიცხადეს ჩემი ძვირფასი მეუღლის ეფროსინე (იგივე კატოს) გარდაცვალების გამო. 12 ამა დეკემბერს დ. ყვირილაში.
პატივისცემით
**ბიქტორ გაჩეჩილაძე.**



სახალხო უნივერსიტეტი

**(სახ. სახლი)**

**კვირას,** 20 დეკემბერს, ე. გ. **ფედოროვი** წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე:

## დაღლილობის ფიზიოლოგია

დასაწყისი დილის 11 ნახ. საათზე. ადგილების ფასი 5 კ.—10 კ-დე

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში და უმთავრეს მასტერსკოიში“, სბორნი ცეხის კანტორაში—იოსებ მამაცევთან, ტოკარნი ცეხის კანტორაში—ს. ჩიკვაიძესთან, ვაგონის ცეხის კანტორაში—კალ. გოგუასთან, თფ. დეპოში—ნიკო იასტრებოვთან, ვაგონის პარკის კანტორაში—ზ. ჟ. დ—კარლე ოტტოსთან, „ტოვარნი სტანციაზ“ე—გ. ფილიასთან, ტრამვაის პარკში—არლიძესთან და ენფიანჯიანცის ფაბრიკაში—ვერა კალანდარიშვილთან.



„სორაპნის“ ამხ. გამოცემა.

**ქართველი და უცხოელი მწერლები**

მიიღება ხელის მოწერა

**მეოთხე წიგნზე**

## „ბანდეგილი“

**ლექსები და მოთხრობები.**

წიგნი ჩვეულებრივი ფორმატის იქნება 225 გვ. და ხელის მომწერლებისთვის ეღირება 25 კაპეიკი კუპონიანა ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით. ეს გამოცემა გაცილებით გაუმჯობესებული იქნება ყოველის მხრით წინანდელ ჩვენ გამოცემებზე. ხელის მოწერა მიიღება ყველა ჩვენ აგენტებთან პროვინციაში. ხელის მოწერა დაიწყება 15 დეკემბერს და გათავდება 25 იანვარს.

**წიგნი ცალკე გასასყიდათ არ გამოვა**

ვისაც სურს პირდაპირ დაბარება, მან უნდა გამოგზავნოს ფოსტის მარკები—40 კაპ. წიგნი გამოვა თებერვლის 25 რიცხვებში. (30—5)

ადრესი: **Тифлисъ, Т—во «Сораланъ».**



დ. ჭიათურაში კბილის ექიმი

## ე. ტ. ლორის-მელიქოვი

ღებულობს ავათმყოფებს დილის 10—2 საათამდე და ნაშუადღევის 4 საათიდან 8 საათამდე.

ადრესი: გ. გაჩეჩილაძის სახლი, ვოგზლის ახლო.



კბილის ექიმი

## ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათმყოფებს დილით 8—12 ს. სალამოთი 3—7 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს).



კბილის ექიმი

## რომანიშვილი—დგებუაძისა

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა № 34.



კბილის ექიმი

## ს. ვაშაყმაძე

დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 ვერის დალმართი სახ. 15.



**ფ ე რ შ ა ლ ი**

ლ ე ო ნ ტ ი ბ ა რ კ ა ლ ა ი ა

დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფთა მიღება შუადღის 3—6 საათამდე.

**ადრესი: გოგოლის ქუჩა № 68.**



**წ.-კ. საზოგადოების გამგეობა**

ამით აცხადებს, რომ კვირას, 20 დეკემბერს სამეურნეო ბანკში დანიშნულია

## საზოგადო კრების

გაგრძელება

განსახილველი საგნები:

1) 1908 წ. ანგარიში.
2) სარევიზიო კომისიის მოხსენება
3) 1910 წ. ხარჯთ-აღრიცხვა
3) მიღება საზოგ. ახალი წევრებისა.

კრება დაიწყება დილის 11 საათზე.



სამაწვილო ახალი წიგნაკი

## სიბრალული კარგია

ნატალია რ. გიგაურისა.

ფასი 3 კაპ.

იყიდება თფ. წ.-კ. ს. მაღაზიაში, ქუთაისში—მთავრიშვილის მაღაზიაში, გორში და მიხაილოვში მაისუროვის მაღაზიაში და სურამში—ხორავასთან. 3—3



## მიხაილოვში

(ხაშურში) **იყიდება** ნახევარი სამი თვალი მაღაზიისა და სარდაფისა საუკეთესო ალაგზე. პირობები გაიგება **სად. გომში. მ. გოგოტიშვილთან.** ფულის ნახევარი მსურველთ შეუძლიათ იდროვონ 6 %. 5—2.


## რ ე ა ქ ც ი ო ნ უ რ ი ხ ა ნ ა

### III.

ხალხის მოწინაალმდეგეთა რიცხვი მატულობს, ხალხის კავშირი მოპოვებულის შესანარჩუნებლათ სუსტდება—აი თანამედროვე მდგომარეობა. ეს ისტორიული აუცილებლობაა.

გამარჯვებულთ ბრძოლის უნარს უქებენ, დამარცხებულთ ტუქსავენ და დასცინიან—სულელი ქვეყნის გადაბრუნებას ცდილობდაო. ამნაირათ, გუშინდელი ჭკუა დღეს უჭკუობათ მონათლეს, რასაც გუშინ გმობდენ, ის დღეს სათაყვანოთ გამოაცხადეს. შეცვლილ მდგომარეობას შეცვლილი აზროვნებაც თან მოსდევს.

მარა დედამიწა მაინც ბრუნავს, ცხოვრება მაინც იცვლება. რაც უფრო ძლიერი იყო დამარცხება, მით უფრო ძნელია დაბნეულთა თავ-მოყრა. ყველა ერთი მეორეს აბრალებს: არა შენ დაგვღუპე და არა შენო, თითქოს დამარცხება რომელიმე პირისა ან ჯგუფის საქმეა. ყველა თავის ჭკუას ადგია, გამოგვყევით ჩვენ გიხსნითო. ამიტომაც ასეთ ხანებში მეგობრებიც კი ითიშებიან და მოწინაალმდეგე ბანაკებათ ირაზმებიან. 1848 წლის რევოლიუციის დამარცხების შემდეგ „კომუნისტთა კავშირში“, რომელმაც მარქს-ენგელსის მიერ შედგენილი „კომუნისტური მანიფესტი“ გამოსცა 1850 წ. რასკოლი მოხდა—ისიც კი ვერ ასცდა რეაქციის არევ-დარევას. ერთ მხარეზეა მარქს-ენგელსი, მეორეზე ვილიხ-შაპერი. უკანასკნელნი „რევოლიუციის ხელოვნურათ მოწყობას“ [illegible] შევუდგეთო ითხოვენ და ასე ერთი დაკვრით სახელმწიფო ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას ეტრფიან, რევოლიუცია წინ მიდისო. მარქს-ენგელსი ხანგრძლივ მზადება-ბრძოლას ქადაგებენ — კონტრ-რევოლიუციამ გაიმარჯვაო. „რევოლიუციის ხელოვნურათ მოწყობის“ ლტოლვილებას—ამბობს ფრ. მერინგი ამ ხანის შესახებ—„ბევრი საქმის კაციც კი იზიარებს და თან ეს თავისუფალ გზას უხსნიდა არა მხოლოდ ფანტაზიორებს, მეოცნებეთა და სულელებს, არამედ—პროვოკატორებს, პოლიტიკურ ავანტიურისტებს და აფერისტებს, პოლიციურ ჯაშუშებსა და ნაძირალებს“. *)

რა გზას უნდა დაადგენ, რომ არევ-დარევა მოისპოს.

რეაქციის ლაშქარი ჯერ კიდევ ზრდაშია—მას ახალ-ახალი მოკავშირე უჩნდება. ცხადია, რეაქცია ხანგრძლივი გამოდგა, მარა მოძრაობის დროს მილებული ხალხს ხელიდან ჯერ სავსებით მაინც ვერ გამოაცალეს.

ამიტომაც არის, აქა-იქ პროფესიონალური კავშირები არსებობენ, კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათ ხსნიან, კოოპერატივებს აწყობენ, ლექციებს მართავენ და მიუხედავათ „ჭეშმარიტ რუსთა“ აგიტაციისა, სახელმწიფო დუმაც არსებობს და შიგ ხალხის ნამდვილი წარმომადგენელნიც მოქმედებენ. რასაკვირველია, ყველგან თავისებური კანონი, უკეთ, უკანონობაა გამეფებული. ის, რაც პეტერბურგში ნებადართულია, იალტის „სამეფოში“ რევოლიუციონურათ ცნობილია, ის, რასაც ერთი მმართველი კანონიერათ აცხადებს, მას მეორე სახელმწიფოს ღალატათ ნათლავს.

რეაქციის ბატონობის ჟამსაც კი ცხოვრებამ ახალი ასპარეზი წამოაყენა, ძველ გზას ახალიც თან ერთვის—ღია დაწესებულებებში მონაწილეობით თეორიულ-პრაქტიკული ცოდნა-გამოცდილების შეძენა და ასე ახალ პირობებში კვლავ ახალი მუშაობის განახლება.

საუბედუროთ, ამ ახალ ნიადაგზე მუშაობას ბევრი რამ უშლის ხელს.

გარეშე პირობათა გარდა, რაც თავისთავაც ცხადია, უმთავრესი ეს თვით ხალხის ტრადიციაა. ის ცოდნის გზას უხვევს, წიგნსა და გაზეთს გაურბის, ინტელიგენტი ჩამოივლის და ჭკუას გვასწავლისო, ე. ი. ჩვენ საქმეს სხვა გააკეთებსო. საბედნიეროთ, ამ ილიუზიას ნელ-ნელა ბოლო ეღება. ინტელიგენციის დიდ-ძალი უმრავლესობა ხალხს გადუდგა. ზოგი მოწინაალმდეგე ბანაკს შეუერთდა, მშრომელ ხალხთან ყოფნა რა ხეირს მოგვცემსო; ზოგმა უმაღლეს ბედნიერებათ წარსულის დავიწყება გამოაცხადა,—ამდენ „მსხვერპლათ“ ქვეყნის საქმე არ ღირსო; ზოგიც დაიბნა და ავანტიურისტებს მიკედლებია,—აი ვინ იხსნის ტანჯულთო. ასეთ პირობებში ხალხის ერთათ-ერთი იმედი—ეს მისი საკუთარი ძალა-იმედია. ამ საქმეში ხალხს ინტელიგენციის მხოლოდ ის ნაწილი დაეხმარება, ვინც მას სამუდამოთ შეერთებია და მისი ინტერესი თავისათ გაუხდია.

მაშ, რა უნდა გაკეთდეს?

უმთავრესი — ეს თვით-განვითარებაა. ძველებური მუშაობა შესუსტდა, ზოგან სავსებით მოისპო. ასეთ პირობებში საუკეთესო იარაღი წიგნი და გაზეთია, ლექცია და თვით-განვითარება და ამგვარ წრეებში სხვადასხვა კითხვათა გარკვევა. ვინც ამას გაურბის და სხვისი ჭკუით კმაყოფილდება, ის „დაკარგულია“.

ეჭვს გარეშეა, ეს ახალი ასპარეზი უფრო ძნელია, ვინემ ყველასათვის ცნობილი ძველი გზა. იქ კვირაში ან თვეში ერთი საათით თავს იყრიან და სხვის ჭკუას ისმენენ. ეს ადვილია და ამიტომაც ყველას იზიდავს. იმ ხანათ ეს საკმაო იყო. იმ დროს ხალხი მართლაც [illegible] დღეს ცხოვრება გართულდა და ამიტომაც არის, ბევრი საქმის კაციც დაიბნა. ვისაც სურს ცხოვრებას კვალში მისდიოს და თავისი კლასიური ინტერესი დაიცვას, ის ვალდებულია ყოველ დღე ქვეყანას თვალს ადევნებდეს, მომავალს ითვალისწინებდეს და ძალთა განწყობილებას იკვლევდეს.

ეს შეიძლება მხოლოდ გაზეთისა და წიგნის მეოხებით, სხვადასხვა ლექცია-რეფერატების მოსმენით და წრეებში საქმის გარჩევით.

საუბედუროთ, მკითხველთა რიცხვი ძალიან მცირეა. ბევრს კითხვისა და თვით-განვითარების მნიშვნელობა ჯერ კიდევ ვერ შეუგნია და სხვას შესცქერის,—ის მასწავლისო. ბევრმა წერა-კითხვა არ იცის და ძალა უნებურათ „ცხოვრების“ გარეშეა. სანამ ცხოვრება მარტივი იყო, ასეთები სხვისგან განაგონს იმეორებდენ და ასე საერთო საქმეს ეხმარებოდენ. ახლა ცხოვრება რთულია და განაგონით სასარგებლო გზის გამონახვა შეუძლებელი შეიქნა. აშკარაა, ვისაც სურს თანამედროვე ცხოვრების უკეთესათ მოწყობაში წილი ედვას და ასე თავისი საქმე აკეთოს, ის ვალდებულია წერა-კითხვა ისწავლოს და თვით-განვითარებას შეუდგეს.

ცოდნა ძალაა! ეს უკვე შეიგნო ხალხის მოწინავე ნაწილმა და ახალი პირობების ხელმძღვანელობა იკისრა. ის მუშათა კლუბებს და თვით-განვითარების წრეებს აწყობს, სახალხო უნივერსიტეტებსა და თეატრებს აარსებს, წიგნთსაცავ-სამკითხველოებსა და საკვირაო და საღამოს კურსებს ხსნის და ასე სხვადასხვა გზით და საშუალებით თავის შეგნება-განვითარებას ხელს უწყობს.

თვით-განვითარება-განათლებასთან მჭიდროთ შეკავშირებულია ეკონომიური ბრძოლა და ეკონომიური ორგანიზაცია. რეაქციამ ხალხის პოლიტიკური მოძრაობა გაანადგურა და მისი ორგანიზაციები დაფუშა, ან შეასუსტა, მარა რაკი ხალხი ორგანიზაციულ ცხოვრებაში ჩაება, მისი სავსებით დამორჩილება არც ისე ადვილი საქმეა. მას თუ პოლიტიკური პარტიების აშკარათ შედგენას უკრძალავენ, ის პროფესიონალურ კავშირებსა და მუშათა კოოპერატივებს აწ-

*) იხ. ფ. მერინგის—გერმანიის ს. დ. ისტორია» 1 გერმ. გამოცემა გვ. 428.

ყობს, თუმცა, აქ ყოველ ფეხის გადადგმაზე მას ებრძვიან.

ასეთია ის სამოქმედო ასპარეზი, რომელიც ცხოვრებამ წამოაყენა. აქ ხალხი შეგნებას იძენს, ერთი მეორეს უკავშირდება და თან პრაქტიკულ გამოცდილებასაც ღებულობს. პროფესიონალურ კავშირებსა და კოოპერატივებში, მუშათა კლუბებსა და სახალხო უნივერსიტეტებში, წიგნთსაცავ-სამკითხველოებსა და თვით-განვითარებისა და სხვა ამგვარ წრეებში ხალხი თავისი საქმის გაძღოლას ეჩვევა და ასე მისი მომავალი მეთაურები იწრთვნება.

ამ ახალ ასპარეზს ერთი დიდი ნაკლიც თან დასდევს. აქ მუშაობა უთვალავ ჯგუფში სწარმოებს. ყველა მათგანი ერთი მეორისაგან სრულიად დამოუკიდებელია და ასე, ცალკე ცხოვრებას ეწევა. ეს მუშაობის დაქუცმაცებაა და მისი სისუსტის მომასწავებელია. ამას რეაქცია უწყობს ხელს; ამიტომაც არის, დღეს ქვეყნის მეთაურობას ავანტიურისტ-აფერისტებიც კი კისრულობენ და რაკი რეაქცია საეროო დაბნევის ხანაა, გზა-დაბნეულთა ლაშქარს აწყობენ და მას ხალხის საწინააღმდეგოთ იშველიებენ, სანატრელი დრო დაგვიდგაო.

მერე როგორ შესძლებს ხალხი ამ გზა-დაბნეულთა ალაგმვას და ავანტიურისტების ჩამოშორებას?

ჩვენ გარდამავალ ხანაში ვცხოვრობთ. ძველი ცხოვრება ირღვევა, მარა ის ჯერ კიდევ სავსებით არ შეცვლილა, ახალი არ დამყარებულა. ახალი თუმცა მყარდება, მარა ის ჯერ სუსტია. რაც ხდება პოლიტიკაში, იგივე სწარმოებს ორგანიზაციაში. ძველი მოქმედება შესუსტდა, მარა ის არსებობს და იარსებებს, სანამ რეაქცია საბოლოოთ დაითრგუნებოდეს. მას გვერდში ახალი ღია ასპარეზი გაუჩნდა თავისი ახალი კავშირებით. ძველი და ახალი გზის ერთი-მეორესთან გადაბმა—ეს ერთად ერთი საშუალება მომავალი მოქმედების ხალხის საკეთილდღეოთ გამოყენების.

ამნაირათ, ასპარეზი ორია, ხელმძღვანელობა ერთი. გზა უთვალავია, სათავე კი ძველი გამოცდილი ხილი—ყველა-[illegible] მხოლოდ მას შეუძლია სხვადასხვა ღია დაწესებულებებში გაბნეულ მუშათა ჯგუფების გაერთიანება და ასე, მათი ხელმძღვანელობა. *)

პეტრე.

# პრესა

„საქართველოს მოამბის" შინაურმა მიმომხილველმა წარსულ კვირის ნომერში „ახირებულათ" დაიწყო თავისი „მიმოხილვა" წერა-კითხვის საზოგადოების გარშემო ატეხილი კამათის შესახებ და „ახირებულათვე" გაათავა. მართლაც, რა შეიქნა ეს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა, რომ ყველა მის ვექილობას კისრულობს. ვექილობს „დროება", ვექილობს „საქართველოს მოამბე", ვექილობს „ზაკავკაზიე"-ში ილია ნაკაშიძე—ერთი სიტყვით, ვექილის როლი პრესის ერთმა ნაწილმა იდვა თავს. ახლა კრებებზედაც დაესწარით და ნახეთ რამდენი კაცი „იცავს" გამგეობას. ბრალმდებელი კი არა სჩანს. დანაშაულობის შემადგენლობა (составъ преступленія) გამგეობის მოქმედებიდან არ არის. ძალაუნებურათ, ამდენი ვექილობა-დაცვის შემდეგ, კაცს ეჭვი გებადება, რომ „დანიის სამეფოში" მართლაც არ უნდა იყოს კარგათ საქმე.

„საქართველოს მოამბე" ოპოზიციის წინადადებას—საგანგებო კომისიის არჩევის შესახებ „საზოგადოების" ქონების შესამოწმებლათ—„ახირებულ" წინადადებას უწოდებს. მისი სიტყვით, გამგეობა მუყაითობას იჩენს, საქმეს აკეთებს, რაღა საჭიროა საგანგებო კომისია.

„მაგრამ ჩვენი ახირებული ცხოვრების პირობები ახირებულ ტაქტიკასაც იწვევს ზოგიერთ წევრებში, რომელთაც კრებაზე განაცხადეს: რაკი გამგეობა ასე მუყაითად შესდგომია საზოგადოების ქონების ცნობაში მოყვანას, ამიტომ მის მიერ წარმოდგენილ ანგარიშსაც ნუ დავამტკიცებთო და განსაკუთრებული კომისია ამოვირჩიოთ საქმის შესამოწმებლათო".

ყველასათვის ცხადია, რომ ოპოზიციის წინადადება საგანგებო კომისიის არჩევის შესახებ ახალი გამგეობის დამნაშავის სკამზე დასმას არ ნიშნავს, ნდობა-არ ნდობის გამოცხადებას გამგეობისადმი არ შეიცავს, ეს არც ისე მნიშვნელოვანი საკითხია, მარა „საქართველოს მოამბე" მაინც გაიძახის: იმიტომ არ ამტკიცებს ოპოზიცია ანგარიშს, რომ ხედავს „გამგეობა მუყაითათ შესდგომია საზოგადოების ქონების ცნობაში მოყვანასო". რას ეწოდება „ახირებული" თუ არ ასეთ აზრს „საქართველოს მოამბისას".

ამაზე უფრო „ახირებული" საქართველოს მოამბის" შემდეგი სტრიქონებია:

„ჩვენ გვიქრობთ, რომ ამ საზოგადოებრივ ჯგუფში, რომელშიაც მიუდგომლობა და პირუთვნელი დაფასება არ არსებობს, მუშაობა მეტათ ძნელია... მაგრამ რას იზამთ, როცა ჩვენში ყველაფერი შესაძლებელია"?

მართლაც „ძნელია მუშაობა ჩვენში" და „ყველაფერი შესაძლებელია", თორემ ეს რომ ასე არ იყოს ჩვენი მოწინააღმდეგენი კითხვას ნდობა-არნდობის ნიადაგზე არ დააყენებდენ და არც გამგეობის ვექილობას იკისრებდენ, სადაც მათი ასეთი „სამსახური" არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს.

—

„ზაკავკაზიე"-დან ილია ნაკაშიძეც „იცავს" გამგეობას. თავისი „შეუდარებელი ჰუმორით" მანაც „ჩასცხო" ოპოზიციას. „დამცველი" შორიდან იწყებს. ის ამბობს: ვინაიდან ამ ზამთარში „გაზაფხული დადგა"—სითბოა, ყველას გული გაუთბა. ყველგან სითბოა. სითბომ ვერ შეატანა მხოლოდ

„სამეურნეო ბანკის სადგომში, სადაც წერა-კითხვის საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება, რომ ოპოზიციის პარტიული სულით გაჟღენთილ გული მოალბოს... რომ პარტიული ლიდერების გულიც დაეშოშმინოს..

„საუბედუროთ, „გაზაფხულის" სითბო ვერ სწვდა ბანკის შენობას, სადაც კრებები ხდება, თვარა მით პარტიული ოპოზიციის გული და სხვ.

ასე რომ, „ჰუმორისტს" სახელიც რომ ეწოდებია ეს ვიღაც პარტიული ოპოზი-[illegible] გორც იტყვიან—„კვიცსაც გახედნიდა, მამიდასაც ნახავდა".

დაბოლოს, „ჰუმორისტი" ასეთ რჩევას აძლევს ეხლანდელ გამგეობას:

„ვუსურვებთ გამგეობას, რომ შემდეგში საზოგადო კრებები გაშლილ შენობებში მოეხდინოთ, რომ ოპოზიციის გაცივებულ გულს მზის სხივები მოხვდეს..."

სად იცოდა გამგეობამ ეს საშუალება' თვარა წინა კრებაზე ხომ აღარ იტყოდა—ერთი მანეთი რომ გავხადოთ საწევრო ფული, ბევრი წევრი ჩაეწერება და კრებისთვის შენობას ვერ ვიშოვითო.

*
* *

„ცნობილი და ნიჭიერი" ნ. ჩაპოვი განაგრძობს პეტერბურგიდან წერილების გზავნას. „ზაკავკაზიე"-ც ბეჭდავს. უკანასკნელ (მეათე) წერილს ის ასე იწყებს:

„ჩვენი ყოველკვირეული მუსაიფი კავკასიის შესახებ, როგორც ეტყობა, საფუძველს ჩაუყრის რაიმე სერიოზულ ორგანიზაციას—«საზოგადოებას» ან კლუბს,—მითხრა ერთმა ნაცნობმა, რომელსაც არა ერთხელ შევხვედრივარ პეტერბურგში ნაცნობ ოჯახებში. თვით ჩვენს საუბარს თანდათან მოხსენების ხასიათი ეძლევა ამა თუ იმ საკითხის შესახებ. ყველა ცდილობს სიტყვის მომზადებას. დღეს კი პირდაპირ გამოიმცხადეს, რომ ილაპარაკებს ივან გრიგორიჩი»...

შემდეგ

«სახლის დიასახლისის თხოვნით საერთო სიჩუმე მყარდება და ივან გრიგორიჩიც იწყებს მუსაიფს...

საზოგადოთ, ჩაპოვის წერილებს რაღაც ზღაპრული ხასიათი აქვს. ივან გრიგორიჩის ნალაპარაკევს ამ ჟამათ თითქმის ერთი ფელეტონი უჭირავს, საიდანაც ვტყობილობთ, რომ ის სომეხია. ის ლაპარაკობს სომხებზე, რუსეთის მთავრობის სომხებთან დამოკიდებულებაზე კავკასიაში და სხვათა შორის ამბობს:

«პოლონეთის გაყოფვა და შემოერთება, ეს მისი სიკვდილის მომასწავებელია, კავკასიის დაპყრობა კი—მისი ცხოვრების ახლათ დაწყებაა.

შემდეგ ლაპარაკობს იმაზე, თუ რა „კულტურული განძია" კავკასიისთვის რუსეთიდან გადმოსახლებული გლეხობა:

«მე თითონ დავკვირებივარ, თუ როგორი კულტურული გავლენა აქვს რუსეთიდან გადმოსახლებულ გლეხობას სომხების სოფლებზე. რაც უნდა გაუნათლებელი იყოს რუსის უბრალო ხალხი, მაინც არ შეგიძლიათ უარყოთ ის, რომ ის ხალხი, რომელმაც მოიფიქრა თავისი პირუტყვისათვის ცალკე ბინა გაეჩინა და არ წოლილიყო პირუტყვთან ერთად, როგორც ეს სხვა ხალხშია და სხ..

მაშასადამე, ასეთი ხალხი უფრო კულტურულია კავკასიის ხალხზე. ასეთი მარგალიტებით სავსეა „ზაკავკაზიეს" „ქვედა სართული", მარა მეტს ჩვენ არ მოვიყვანთ, რადგან ესეც დამახასიათებელია ჩაპოვის ზღაპრული წერილებისა. კვლავ კითხვა იბადება: რა ადგილი აქვს ასეთ წერილებს „პროგრესიულ" „ზაკავკაზიე"-ში?

*
* *

ჩვენი წინადადება—რომ მოუსავლიან ადგილებში მოეწყოს ისეთი ორგანიზაცია, რომელიც იზრუნებს მოუსავლობის შესახებ ცნობების შესაკრეფათ და სხვ., „ნოვაია რეჩ"-ს არ მოსწონს, ვინაიდან ადგილობრივ „ინტელიგენტური ძალები" არ მოიპოვება. ის ისევ „მკვდარს" (სამეურნეო საზოგადოებას) ებღაუჭება.

„სამეურნეო საზოგადოების მიერ ნდობით აღჭურვილი პირნი უნდა გაიგზავნოს მოუსავლიან ადგილებში, ადგილობრივი ძალები კი მას დაეხმარებიან საქმის გამორკვევაში, ვინაიდან ჩვენ სოფლებში იმდენათ ნაკლებია ინტელიგენტური ძალები, რომ ადგილობრივი გაზეთებიც კი ვერ ღებულობენ შემოწმებულ და სწორ ცნობებს მოუსავლობის შესახებ".

განა მართალია ეს? განა დასაჯერებელია, რომ ქუთაისში, ხონში, ოზურგეთში თუ გინდ ყვირილაში, ონში, გორში და სხვ. არ მოიპოვება იმდენი „ინტელიგენტური ძალები", რომ ეს საქმე თავს იდვან? რა საჭიროა უსათუოდ სამეურნეო საზოგადოებისაგან კაცის გაგზავნა? ჩვენ გაგზავნის წინააღმდეგი არა ვართ, მარა მას კი არ უნდა დაეხმაროს ადგილობრივი ძალები, არამედ—ის უნ-უნდა დაეხმაროს ხსენებულ ძალებს. „ნოვაია რეჩი"-ს მსჯელობა კი შემდეგს შეიცავს: «Баринъ пріѣдетъ, все сдѣ-[illegible] გააკეთებს). ასეთი „ფილოსოფია" ჩვენ მიზნის შესაფერათ არ მიგვაჩნია და ამიტომაც მოვაგონებდით მოუსავლიან ადგილების საზოგადო მოღვაწეთ საქმეს შესდგომოდენ. საჭირო ძალები მოიპოვება, თუ ეს ძალები საქმის სიყვარულს გამოიჩენენ.

# სახელმწიფო დუმა

(სააგენტოს დეპეშებიდან.)

სხდომა გაიხსნა დილის 11 საათსა და 21 წუთზე. თავმჯდომარეობს თავ. ვოლკონსკი. აცხადებენ შემოსულ საქმეების სიას და მათ შორის 38 წევრის განცხადებას 1909 წელს სახელმწიფო და ქალაქის საბჭოს არჩევნების დროს გენერალ ტოლმაჩევის მიერ ჩადენილ უკანონობის გამო შინაგან საქმეთა მინისტრისადმი შეკითხვის შესახებ. თხოულობენ შეკითხვის საჩქაროთ განხილვას. მომხსენებელი ნიკოლსკი მხარს უჭერს შეკითხვის საჩქაროთ განხილვას და საბუთათ ის მოყავს, რომ ადესის მცხოვრებთ კიდევ მოუხდებათ სახელმწიფო დუმის არჩევნებში მონაწილეობის მიღება და საჭიროა გამოირკვეს—ხელს აფარებს მთავრობა ტოლმაჩევს თუ არა. დუმა სერიოზულათ უნდა მოეპყრას ტოლმაჩევის მოქმედებას, რადგან, როგორც თვითონ ამბობს: „სადაც მე გავივლი, იქ ბალახი არ ამოვაო". და ამით სავსებით ახასიათებს თავის თავს.

**მღ. ვერასკინი** (ადგილიდან). მოგვაშორეთ „ჟიდები" და ტოლმაჩევიც წავა.

თავმჯდომარე სთხოვს მას შენიშვნას ნუ იძლევა.

კენჭის ყრით ნიკოლსკის წინადადებას ღებულობენ. შემდეგ ღებულობენ რამდენიმე წვრილ კანონ-პროექტს: გუბერნატორების და გუბერნიის სამმართველოს თათვის ფულის გადიდების, აფთიაქების გაღების, შემოსავლის დაზღვევის, სავალდებულო ყვავილის აცრის შესახებ. დასასრულ აცხადებენ შრომის ჯგუფის და ს.-დემოკრატების განცხადებას—წარედგინოს იუსტიციის მინისტრს შეკითხვა ნოვოჩერკასკის სამოსამართლო პალატის უფროს თავმჯდომარის ხლოდოვსკის და გამომძიებელის ლიჟინის უკანონო მოქმედების შესახებ ნოვოროსიის რესპუბლიკის საქმის გარჩევის დროს. შემდეგ თავმჯდომარე კითხულობს ხელმწიფეიმპერატორის უკაზს სენატისადმი: „99 სტატიის ძალით ვუბრძანებ შესწყდეს სახელმწიფო დუმის მოქმედება 20 დეკემბრიდან 20 იანვრამდე 1910 წლისა. ნამდვილზე მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის საკუთარი ხელით აწერია „ნიკოლოოზი". თავმჯდომარემ „ურა" დასძახა და დარბაზში ერთხმათ გაისმა „ურას" ძახილი. სხდომა დაიხურა. შემდეგი სხდომა დანიშნულია 21 იანვრისათვის.

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 დეკემბერი.

### საზღვარ-გარეთ

**ტრენტონი.** (მისსურის შტატები) რკინის გზის სადგურის ახლოს ლიანდაგს გადასცდა ჩქარი მატარებელი. მატარებელს ცეცხლი გაუჩნდა. დაიწვა ხუთი მგზავრი ცხრა მძიმეთ დაიჭრა.

**პარიჟი.** დეპუტატთა პალატაში გაარჩიეს ეფიოპის რკინის გზის საკითხი. პიშონმა აღნიშნა, რომ საფრანგეთი მართლა ვალდებულია თვალ-ყური ადევნოს ამ გზას, რამდენათაც ეს შესაძლებელია. პალატამ 435 ხმით, წინააღმდეგ 81 ხმისა უარყო ჟორესის წამოყენებული მორიგ საქმეებზე გადასვლის ფორმულა რომლითაც გაკიცხვას უცხადებდენ მთავრობას და 435 ხმით წინააღმდეგ 54 ხმისა მიიღო ფორმულა, რომლითაც მთავრობის განცხადება მოწონებულ იქნა. შემდეგ ბრიანმა წაიკითხა პრეზიდენტის დეკრეტი პარლამენტის სესიის დახურვის შესახებ.

**ბერლინი.** „ნორდ-დეიტშე-ალგემაინე ცაიტუნგი" იტყობინება, რომ რუსეთის მთავრობა დასთანხმდა ხელლფელდის და მისი საქმე სამედიატორო სასამართლომ გაარჩიოს.

### რუსეთი.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორის უმაღლესი ბრძანებით სახელმწიფო საბჭოს სხდომა 20 დეკემბრიდან 11 იანვრამდე შესწყდა.

საზღვაო სასამართლოში გაირჩა ინჟენერ ნიკულინის საქმე. სასამართლომ ნიკულინს საყვედური გამოუცხადა.

**პეტერბურგი.** სამოსამართლო პალატამ აზნაურ ქალს ბარანოვას ს.-რევოლიუციონერთა პარტიის წევრობისთვის 4 წლის კატორღა მიუსაჯა.

გასულ სესიის განმავლობაში სახელმწიფო დუმამ განიხილა სულ 440 კანონ-პროექტი, 64 მიიღო, 5 უარყო, 22 უკან დაუბრუნა მინისტრებს, 19 მზათ არის გასარჩევათ, 327 კომისია იხილავს. გარდა ამისა განსახილველია 11 შეკითხვა და ერთი კითხვა.

**მოსკოვი.** სად. გოლუცვინის რკ. გზის სახელოსნოში რევოლვერით მოკლეს დეპოს უფროსი ტროფიმოვი.

**კიევი.** გუბერნიის საერობო კომიტეტმა დაადგინა გადასდვას 20,000 მანეთი 1911 წელს კიევში სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენის მოსაწყობათ.

**ხ ო ლ ე რ ა**

**მოსკოვი.** ავათ გახდა 5, მოკვდა 2, ავათ არის 67.

# წერილები სპარსეთიდან

21

### ქალაქი თეირანი

25 ოქტომბერს სანჯან-არდებილისკენ წავიდა 600 ჯარის-კაცი რახიმ-ხანის წინააღმდეგ: სამასი ბახტიარი, ასი ყაზახი, ასი სარბაზი და ეფრემი 30 თავისუფალი მეომარით. მარში მოედანზე ჯარი შეიკრიბა მუსიკა-დროშებით, რომელთაც თან მოყვენ სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრები. ეფრემი თავისიანებით ქალაქ გარეთ უცდიდა ჯარს, სადაც ის გააცილა სომხის საზოგადოებამ და რამდენიმე ფარსმა. როცა იქ მივიდა სხვა ჯარებიც, ეფრემი მას შეუერთდა. საუცხოვო სანახავი იყო ბახტიარები დროშებით, რომელსაც მეთაურობს ახალგაზრდა განათლებული ბახტიარი სარდარ-ასადის ახლო ნათესავი. ჯარს თან მიაქვს ორი ტყვის მტყორცნელი და რამდენიმე ზარბაზანი. მთელი სამხედრო მასალა ჯორებით მიაქვთ.

მეორე დღეს შევედით და გავიცანით მდიდართა სახლები შიგნით. ჩვენ ორნი წავედით ერთ ძველ სამხედრო მოსამსახურისას. წინ სარბაზები (სალდათები) შემოგვეგებენ. ეს სარბაზები კერძო სახლებს ყარაულობენ, როგორც მონები! გაგვატარეს ერთი მოზრდილი ეზო მოსამსახურეების და შევედით საუცხოვო ბაღში. ბაღის სიდიდე ორი ქცევა იქნება. ორ სართულიანი სახლი საუცხოვო ყვავილებში, [illegible] მარმარილოს აუზია, სადაც პატარა მდინარე წყალი [illegible] თხრილში. აუზს ორი დიდი ზალა აქვს, ორთავ მხარეს ხალებით მორთული. მაღლა ორი დიდი ზალა და რამდენიმე ოთახი საუცხოვოთ მოწყობილია. წინა აივანი ეზოს გასცქერის, სადაც ორი დიდი აუზია ყვავილებით მორთული. ბაღი ელექტრონითაა ღამე განათებული. ცოტა მოშორებით მოზრდილი სახლია, რომლის კედლები შუშაბანდითაა ამოყვანილი. შუაზე—ოცი ფეხის ნაბიჯი სიგძე აუზია, რომლის სიმაღლე საჟენია და წითელი თევზები დაცურავენ. მაღლა დიდი ელექტრონის ბურთი ჰკიდია. გარშემო საზამთრო ბაღია გამართული და ფორთოხალ-ლიმონის ხეებში არჩვ-ჯიხვის და ვეფხვის ჩუჩელებია. აღმოსავლეთით ორი დიდი ზალაა, სადაც ამ სახლის პატრონის ცოლები ცხოვრობენ და პატრონის გასართობათ ამ აუზში ბანაობენ. აქ ახლა მარტო მოსამსახურეები ცხოვრობენ და პატრონი საქეიფოთ მოდის.

აქედან დავათვალიერეთ აგრეთვე მეორე ბაღი ქალაქ გარეთ. ეს ბაღი აქაურ ვაჭარს ეკუთვნის. ის იქნება ოთხი-ხუთი ქცევა, გარს მაღალი მიწის კედელი აქვს. რამდენიმე გზა გადის ბაღში. პირველი გზა ხელოვნურათ გაკეთებულ დიდ ტბაზე ადის, სადაც ნავებით სეირნობენ მთვარიან ღამეში. შემდეგ ვნახეთ ათაშეგის სასახლე. ათაშეგი აქაური მინისტრი იყო, რომელმაც სპარსეთი „გაატყავა" და ბოლოს რევოლიუციონერებმა მოჰკლეს. სასახლის ეზო იქნება ოთხკუთხი ორი-სამი ვერსი. სამი მოზრდილი ტბა ორ-სართულიან სასახლეს გარს არტყია, ბაღებში ევროპიდან მოტანილი ქანდაკებებია, ტბას ფარნები არტყია გარს, სასახლე ევროპიელ ხუროთ-მოძღვრებისაგან არის აშენებული. ძირის სართული ინდოეთის ძვირფას და იშვიათ ავეჯეულობით არის მორთული, სასადილოს განყოფილება 35 ფეხის ნაბიჯია, ექვსი დიდი ზალა მუზეუმებათ არის ქცეული და იშვიათი სანახაობაა—საომარი იარაღებია, კედლები ძველი მხატვრობითაა და სამკითხველო წიგნებით. მაღლა სართულში ერთი ზალის სიგრძე 45 ფეხის ნაბიჯია და ამ ზალას ერთი ხალი ფარავს, რომელიც საგანგებოთაა გაკეთებული.

თითო ვახშამი 80,000 მანეთი უჯდებოდა თურმე ამ კაცს! და რაღა გასაკვირველია, რომ ქუჩებს არავინ აკეთებს და არც არავინ ეძებს. იქ სიღატაკეა, სიბინძურე, გაყვლეფილი ხალხი იხოცება... იქ მონური წესწყობილებაა...

საღამოს თოფ-ხანის არსენლის მოედანზე გავედით. ჩადრში გახვეული ლუკმა პურის მაძიებელი ქალები მამაკაცებს ევაჭრებოდენ, მშიერი კუჭის გასაძღომათ თავის თავს საქონელსავით ყიდიან!..

27 ოქტომბერს დემოკრატ. ორგანიზ. დეპუტატების კრებაზე თაღიზადეჰ დაახასიათა დღევანდელი მდგომარეობა სპარსეთის და თქვა: სხვადასხვა სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ სესხი არ ვიშოვნოთ ევროპაში; შინაური სესხი ვერ ხერხდება, რადგან წინა მეჯლისში ფულები გაიფლანგა. შეიქმა ზოგიერთ პირთაგან და დღეს სპარსეთის მდიდრები არ იძლევიან ფულს—რაიმე ზომის მიღება შეუძლებელია, რადგან ისინი მაშინვე რუსეთის საკონსულოს შეაფარებენ თავს, რასაც ხელოვნურათ აწყობენ ზოგიერთნი და რეაქციონურ ოჯახობას შემწეობას აძლევენ... დაგვრჩენია ერთად-ერთი სახელმწიფო ძვირფასი თვალმარგალიტები, რომელიც 27 ბათმანი იქნება და რომლის ღირებულობა სახელმწიფოს გამოიყვანს კრიტიკულ მდგომარეობიდან, მხოლოდ დაინტერესებულ სახელმწიფოს წყალობით იმის დაგირავება-გაყიდვაც ძნელდებაო...

გლახა მგელაძე.

# უკანასკნელი ფოსტა

### სპარსეთი

**ახალი ფეტვა.** მუშტეიდ ალა-სეიდ-აბდულა ბეხმაგანის წინადადებით ნეჯეფის უმაღლეს იერარქებს ფეტვა გამოუქვეყნებიათ, რომლითაც პოლიტიკური სიტყვების წარმოთქმა ეკრძალებათ ყველას,

---

*) ეს წერილი სხვადასხვა მიზეზების გამო შემოკლებით იბეჭდება. რედ.

გარდა იმ პირებისა, რომლითაც სასულიერო წოდება დაასახელებს. განზრახულია აგრეთვე გაზეთებს ცენზურის შემოღება.

არდებილიდან „რეჩს" ატყობინებენ, რომ ეფრემი სერაბშია, სადაც შახსევანები მოძრაობას იწყებენო. მოსალოდნელია შეტაკება. არდებილის გუბერნატორი სერაბში მიდის, რომ მოსალოდნელი შეტაკება არ მოხდეს.

### რუსეთი და იაპონია

**კამჩატკის წყლებში მომხდარ ინციდენტის გამო.** კამჩატკის წყლებში მომხდარ ინციდენტის გამო, რომელიც იაპონიის გემ „ხოი-მრუს" შეემთხვევა, იაპონელები აცხადებენ, რომ მათ არავითარი მიზანი არ ქონიათ გადაეღოთ ნაპირების გეგმა, არამედ—საჭირო იყო წყლის სიღრმის გაგება, რადგან ჯერ ის კიდევ კარგათ გამოკვლეული არ არის.

**ახალი ტერორისტული აქტი.** სეულში ამ დღეებში ხანჯლით მოკლეს კორეის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჩი-ვან-ჩონგი. „რეჩის" გადმოცემით, მკვლელი 20 წლის კორეელია, ის კორეის საიდუმლო ორგანიზაციას ეკუთვნის, რომელსაც მიზნათ დასახული აქვს ებრძოლოს იაპონიის რეჟიმს კორეიაში.

### რუსეთი

**კანონ-პროექტი ფინლიანდიის შესახებ.** ფინლიანდიის საქმეების კომისიისაგან მიღებული კანონ-პროექტი, რომელიც დეიტრიხისაგან იყო წარმოდგენილი, შესწორებულ იქნა და მინისტრთა საბჭოს წარედგინა. ამ კანონ-პროექტს სამინისტრო ნაშობევს განიხილავს. თებერვლის დასაწყისში მთავრობა ამ კანონ-პროექტს ახალ სეიმს წარუდგენს განსახილველათ. ამ კანონ-პროექტს დუმა აპრილის ბოლოს განიხილავს.

**შეკითხვა.** დეპუტატ შილოს შორეულ აღმოსავლეთიდან მთელი რიგი წერილები მოსდის. წერილის ავტორები ეკითხებიან დეპუტატს: რამდენათ მართალია იაპონიასთან საქმეების გართულების შესახებ ხმები, რომელიც ძალიან ცუდათ მოქმედობს ვაჭრობა-მრეწველობის საქმეებზეო. შილოს აზრათ აქვს კომპეტენტური დაწესებულებებიდან ცნობები შეკრიბოს ამ კითხვის შესახებ.

**ებრაელების გაძევება.** დეპუტატ ნისელოვიჩმა 36 ებრაელის ოჯახიდან წერილი მიიღო. ებრაელები ატყობინებენ დეპუტატს: რამდენიმე წელიწადია, რაც პსკოვის გუბერნიაში ვცხოვრობთ და ამ ჟამათ მიზეზის დაუსახელებლათ მთავრობა ადგილიდან გვასახლებსო. დეპუტატმა ნისელოვიჩმა ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს, კრიჟანოვსკის მიმართა, რომლის განკარგულებითაც გადასახლება შეჩერებულ იქნა.

**კარპოვის მოკვლა.** გამოძიებამ ვოსკრესენსკის ბინაზე ფეჩში აღმოაჩინა ხელსაწყოები ელექტრონის მავთულების გასაყვანათ. „ნ. ვრ." სიტყვით, ეჭვს გარეშეა, ვოსკრესენსკის ელექტრონის მავთულების მიმართულება თვითონ შეუცვლია თავის განზრახვის მიხედვით.

— პარიზიდან „რუს. სლ." დეპეშით ატყობინებენ, რომ სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია პეტროვის (ვოსკრესენსკი) შესახებ ცნობებს მალე გამოაქვეყნებსო.

— კარპოვის მოკვლის გამო ჟორესს „ჰუმანიტეში" წერილი მოუთავსებია, რომლითაც ევროპის საზოგადოების ყურადღებას აქცევს იმ საშიშროებაზე, რომელიც ევროპას მოელის დამცველი პოლიციელების მოქმედებით საზ. გარეთ.

— ეკატერინოსლავიდან „რ. ს." ატყობინებენ: 1904 წ. სოფლის მასწავლებელმა დიინემომ რევოლიუციონური წრე დააარსა, რომელშიაც მღვდელი პეტროვის შვილიც აქტიურ როლს თამაშობდაო. ის სოფლებში მიტინგებს მართავდა და ხალხს უკიდურეს რეზოლიუციებს აღებინებდა. პეტროვმა მონაწილეობა მიიღო სადგურ „გრიმინოზე" მომხდარ შეიარაღებულ თავდასხმაში, სადაც მასწ. დიინემო მოკლულ იქნა.

— სარატოვიდან იტყობინებიან, რომ კორესპონდენტს ცნობები შეუკრებია ჟანდარმთა სამმართველოში და ჟანდარმები უარს ყოფენ ბურცევის ცნობას. ისინი ამტკიცებენ, რომ პეტროვი არ მჯდარა სარატოვის ციხეში და გერასიმოვს სხვა ტუსაღთან ქონდა საქმეო.

— პოლტავიდან იტყობინებიან, რომ პოლტავის დღესასწაულის დროს ვოსკრესენსკი დამცველებში ერია, ამბობენ: რომ ის კარპოვის რაზში იყო.

— როსტოვში დაბრუნებულ ჟანდარმთა სამმართველოს უფროს თანაშემწეს უთქვამს, რომ ის სადილათ ყოფილა კარპოვიდან პეტერბურგში. სადილის დროს კარპოვი შეწუხებული იყო. მის შეკითხვაზე „რა მოგივიდა"-ო?—კარპოვს უთქვამს:

რაღაც ცუდი მოვლის ერთი დიდი სახიფათო საქმე მიდგას წინო.

**სიონიზმის დაცემა რუსეთში.** გამბურგში მოხდა სიონისტთა კონფერენცია. რუს დელეგატებმა აღნიშნეს, რომ სიონიზმი რუსეთში დიდ კრიზისს განიცდის აღარ არის წრეები, ახალგაზდობა, რომელსაც შეეძლოს პროპაგანდა და აგიტაცია გასწიოს. აგრეთვე ბურჟუაზიამაც ზურგი შეაქცია სიონიზმსო.

**გუბერნატორის განკარგულება.** ენისეის გუბერნატორმა გლეხებს აუკრძალა მასწავლებლათ მიიწვიონ პოლიტიკური გადასახლებულები. დამნაშავენი პირველათ დაჯარიმებული იქნებიან 50 მ.,—მეორეთ—100 მ. ვინც მესამეთ გაიმეორებს „დანაშაულობას", მას გუბერნიის საზღვრებიდან გააძევებენ. პოლიტიკურ გადასახლებულთა გაჭირვებული მდგომარეობა აუტანელი შეიქნა.

## ზღვას

განთიადისას, როცა მოხდენით
პირველი ტალღა ზღვამ შეარხია
და მის მოძრავ მკერდს დილის ნიავმა
ძილის პერანგი შემოახია,
მე ჩემი ნავი ნაპირს მოვხსენი,
ტილო ავკიდე, საიაღქანე,
და, ტურფავ, შენსკენ უცნობ სივრცეზე
გაბედვით ნავი გამოვაქანე!
იმედმა გული აამგზნებარა:
ნისლი თან და თან ზღვას შორდებოდა
და მაღალს მთასა, კლდეს მოსილსა,
ყომრალ დრუბლებათ ევინებოდა!
და ზღვამ მოძრავი სპეტაკი მკერდი
თვალწინ სინაზით გადმომიშალა...
ჰაუ, რა იყო სამოჩვენებო
ის გულის სიმხნე და სულის ძალა!..

დაღამდა კიდეც... მე კვლავ მივცურავ,
საჭეს იალქანს შევუწყობ ხელსა;
არ ვეშვები ზღვის ზედა პირზე
გადაშლილს წყვდიადს, ამ საზარელსა!..
შორს ზღვის ვეშაპმა ჩაიხითხითა,
ცეცხლის მათრახმა იწყო პრიალი,
და სტიქიონის აკვნესებასთან
ტალღებმა შექნეს თრომ-ტრიალი.
ნავი შეინძრა. ბობოქარს ზღვაში
მედგრათ განაგრძო გზისა გაკვლევა,
თუმცა, რა ვიცი, სად მიღალატებს!
ამ ბრძოლის გზაზე სად ჩაიმსხვრევა!..
თუნდაც ჩაიმსხვრეს!.. ცურვით წამოვალ,
ვერრა შემიწყვეტს სულის კვეთებას!
მედგრათ გავიქნევ ვაჟკაცურ მკლავებს,
არად ჩავაგდებ ზვირთთ მოხეთქებას!
და მოვალ, ტურფავ!.. იქ ზღვის პირად
ყვავილებს დავკრეფ, სათაიგულოს,
შევკონავ ერთად და ძღვნათ მოგიტან
ნიშანს, სამოყვროს და სერთგულოს!..
რა ვუყოთ, რომ ზღვა ცოფიანივით
ჰკივის და ჰკვდებს, ბობოქარია,
მე მაინც, ტურფავ, ამ ჩემის ნავით,
მოვცურავ, შენსკენ მომიხარია!
თუნდ ის ჩაიმსხვრეს!—ცურვით წამოვალ,
გული მაინც არ შემიშინდება,
და შენი სახე, დაღლილობის ჟამს,
თვალწინ იმედათ გამიბრწყინდება!
და მხნეთ გავუქნევ მკლავებს ზვირთებსა,
თან დავიძახებ, ავმღავრდები:
«ზღვავ, მეც იმდენათ ბრძოლას გუმატებ,
რასაც შენ უფრო გამძვინვარდები!
იქნება კიდეც მსხვერპლათ შეგვედრო
შენს უკანასკნელ ზვირთთ მოხეთქებას,
მაგრამ ამით, ხომ იცი, მაინც
ვერ ჩაჰკლავ ამ ჩემ სულისკვეთებას!
ჩემს წინ მცურავნი სხვები გამოვლენ,
ნახვენ, რომ ზვირთნნი ჰქლავენ,
მაგრამ ჩემს ნაგზურს გამოჰყვებიან
და შენს მკერდს ასე გადასთელავენ!..

ნ. ზომლეთელი.

## ახალი ამბები

**თფილისის ტრამვაი.** 19 დეკემბერს თფილ. ტრამვაის დირექტორმა გამოუცხადა მოძრაობის მოსამსახურეებს—კონდუქტორ-ვატმანებს: ჩემი ბრიუსელში გამგზავრების წინ თქვენმა წარმომადგენლებმა თხოვნით მომმართეს, რათა ადგილობრივი ადმინისტრაციის წინაშე მეშუამდგომლა გადასახლებულ ტრამვაის მოსამსახურეების უკან დაბრუნების შესახებ, რომლებსაც დავპირდი, რომ თუ ბრიუსელიდან დაბრუნებისას დავინახავ და დავრწმუნდები, რომ მოძრაობის საქმეები ნორმალურ კალაპოტში იქნება ჩაყენებული, მაშინ ვსთხოვ ადგილობრივ ადმინისტრაციას, რომ დააბრუნოს უკან ყველა გაგზავნილი მოსამსახურეები, მაგრამ ახლა დავრწმუნდი რა, რომ მოძრაობის საქმეები ისევ ისე არეულ-დარეულია, თუმცა ვსთხოვე გუბერნატორს, რომ დააბრუნოს გაგზავნილი მოსამსახურეები, მაგრამ ისინი არას შემთხვევაში არ იქნებიან თავიანთ ადგილებზე მიღებულიო.

✦ **ქალაქის საბჭოს კრება.** ხვალ, 21 დეკემბერს ქალაქის საბჭოს კრებაზე, სხვათა შორის მოხდება არჩევნები გამგეობის წევრისა, ნაცვლად ნ. პ. კოკჩაევისა, რომელსაც სამსახურის ვადა გაუთავდა.

✦ **ყალბი ბეჭდები.** 18 დეკემბერს, გათენებისას ქალაქის სავაჭრო პოლიციამ სალდათის ბაზარზე ყასაბ ბარხუდაროვისა, ოჰანეზოვისა და სხვათა დუქნებში აღმოაჩინა 36 დაკლული ხბო და ერთი ძროხა, რომელთაც საეჭვო ბეჭედი ესვა და ძალიან ჰგავდა ქალაქის ბეჭდებს. გუშინ ეს ბეჭდები შეამოწმა ქალაქის ბეითალთა კრებამ და ყალბათ იცნო. დამნაშავეებზე შედგენილ იქნა შესაფერი ოქმები.

✦ **საშობაო დღესასწაული.** ქალაქის სასწავლებელთა კომისიამ უკანასკნელ კრებაზე დაადგინა ქალაქის პირველდაწყებით სკოლების მოწაფეთათვის საშობაო დღესასწაული გამართოს.

✦ **პატენტები.** თფილისის პოლიცმეისტერმა განკარგულება მოახდინა, რომ ვაჭრებმა მომავალ წლის პატენტები უეჭველათ პირველ იანვრამდე შეიძინონ.

✦ **შუამდგომლობა ქალაქის სასწავლებლების გალობის მასწავლებლებისა** ჯამაგირის მომატების შესახებ ქალაქის სასწავლებელთა კომისიამ უსახსრობის გამო უარჰყო.

✦ **წერა კითხვის საზოგადოების** კრების გაგრძელება მოხდება დღეს სამეურნეო ბანკში.

✦ **ქალაქის სტიპენდია.** დიდი მთავრინა ოლღა თეოდორეს ასულის სახელობის სტიპენდია, რომელსაც ოთხი პირი თხოულობდა, ქალაქის სასკოლო კომ. უკანასკნელ კრებაზე კენჭის ყრით ერგო ანნა იოსების ასულს ტერ-გრიქუროვისას, რომელიც სწავლობს პეტერბურგის სამედიცინო ინსტიტუტში.

✦ **ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვა.** საფინანსო კომისიის და ქალაქის გამგეობის შეერთებულ სხდომის დადგენილების თანახმათ, საფინანსო კომისია უკვე შეუდგა მომავალ 1910 წ. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას მუხლ-მუხლათ. ხარჯთ-აღრიცხვა დაყოფილია რამდენიმე განყოფილებათ, და გუშინ და-გუშინ-წინ თვითოეულ მათგანზე საფინანსო კომისიის წევრები ენერგიულათ მუშაობდენ. მუშაობა გათავდება არა ადრე ერთის კვირისა.

✦ **თვალ-ყური სანოვაგეზე.** ქალაქის პოლიციას პოლიცმეისტრისაგან დაევალა თვალ-ყური ადევნონ, რათა ქალაქის ბაზრებში არ გაიყიდოს უვარგისი სანოვაგე, რომელიც უქმეებისა გამო ბოლო ხანს ბლომათ შემოიტანეს სხვა და სხვა პირებმა.

✦ **უკვალოთ დაკარგული ბავშვი.** პოლიცმეისტერმა განკარგულება მოახდინა, რათა მიღებულ იქნას ენერგიული ღონისძიებანი ქვრივის ეფროსინა მაქსიუტოვის შვილის ალექსანდრეს მოსაძებნათ, რომელიც გამოვიდა დედის სახლიდან „უდელნი" ქ. სახლი ბაღირაალიევისა და დღემდე აღარ დაბრუნებულა.

✦ **ქალის მოტაცება.** 16 დეკ. სოფ. შინდისში (თფ. მაზრა) 6 უცნობმა ბოროტ-მოქმედმა მოიტაცა ქალი სალომე აფციაური და სადღაც მიიმალენ. პოლიციამ შესაფერი ღონის-ძიებანი მიიღო.

✦ **ლექცია.** დღეს 11 საათზე სახალხო სახლში დოქ. ფედოროვი წაიკითხავს ლექციას დაღლილობის ფიზიოლოგიაზე. ფასი 5—10 კ.

— დღეს რუსთა კლუბში ბ-ნი კანევსკი წაიკითხავს ლექციას გიპნოტიზმისა და მაგნიტიზმის შესახებ. ლექციის შემოსავალი გადადებულია სამსახურის დროს მოკლულ პირთა ოჯახების სასარგებლოთ.

✦ **„ავჭალის აუდიტორიაში"** 20 დეკემბერს, დილის 11 საათზე, პირველათ იწყება ქართული კითხვა: პატარებისათვის წაიკითხავს ქ-ნი ასათიანისა „ზულუშკას" და მოზრდილთათვის ქ-ნი ელიავასი—„მშვლის ნუკრს" ვაჟაფშაველასი.

✦ **„საექიმო" საზოგადოებაში"** ალექსანდროვის ბაღთან: ქ-ნი მოლოდინოვისა წაიკითხავს „ვანო და მაშოს", ქ-ნი ავალიანისა „იავნანამ რა ქნა"?! იაკობ გოგებაშვილისა.

✦ **საპასუხო დეპეშა ახალი ექსარხოსისაგან.** როგორც ვიცით, სამღვდელოების დეპუტატების კრებამ არქი-ეპისკოპოს ინოკენტის მილოცვის დეპეშა გაუგზავნა საქართველოს ექსარხოსათ დანიშვნის გამო. გუშინ სამღ. კრების თავმჯდ. შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო ახალი ექსარხოსისაგან პასუხათ: „გულითად ვმადლობ სამღვდელოების კრებას სალამისთვის. გთხოვთ მიმიღოთ ეპარქიის საკეთილდღეოთ მომუშავე თქვენს წრეში. მოვალ თქვენთან. ქრისტეს სიმშვიდით დამზათ ვარ ჩემი ძალ-ღონე შევწირო მოწყობას ივერიის ეკლესიისას დ თქვენთან ერთათ ვიცხოვრო სამღვდელოების სიკეთეზე ზრუნვაში. გიგზავნით მამა დეპუტატებს კურთხევასა ჩემსას. დღეგრძელობა თქვენ! „მრავალ ჟამიერ"! კრებამ მოისმინა ეს დეპეშა და შემდეგ იგალობა „მრავალ ჟამიერ".

✦ **თფ. გუბერნიის საქარხნო საქმეთა** საკრებულოში 23 დეკემბერს დანიშნულია კრება, რომელიც განიხილავს საკითხს მუშათა დღიურ საშუალო სამუშაო ქირის დაწესების შესახებ—1910—1912 წ. წ. განმავლობაში.

✦ **საქველ---მოქმედო „ბაზარი".** კავკასიის მეურნეთა საზოგადოების შენობაში გუშინ გაიხსნა საქველ-მოქმედო „ბაზარი", რომლის შემოსავალი გადაეცემა თფილისში არსებულ ღარიბ ბავშვთა მზრუნველ საზოგადოებას.

✦ **სასამართლოებში სხდომების შეწყვეტა.** 23 დეკემბრიდან 1 იანვრამდე შეჩერებული იქნება გასარჩევი საქმეები თფილისის სამოსამართლო პალატისა და საოლქო სასამართლოში, გარდა, საოლქო სასამართლოს მე-2 განყოფილებისა სადაც საქმეები გასარჩევათ დანიშნულია 28 და 29 დეკემბერს.

✦ **ბაქოს ნავთის მრეწველის გაქცევა.** ბაქოდან გაქცეულა ნავთის მრეწველი ხ. ა. ლევინი, რომელსაც 300,000 მანეთზე მეტი გაუტაცნია. ეს ფული ეკუთვნის ნავთის მრეწველებსა და სხვა და სხვა დაწესებულებას.

✦ **გველები.** კუკიის მართლ-მადიდებელთა სასაფლაოზე აუარებელი გველები გამრავლებულა და თავისუფლათ დასისინებენ. საჭიროა ამ მოვლენას ყურადღება მიექცეს.

✦ **ნაფიც ვექილის ნ. ა. ქალანთაროვის** გადაცვალების გამო, თფ. სასამართლო პალატასთან არსებულ ნაფიც ვექილთა კომისიამ გადასწყვიტა დაესწროს განსვენებულის დასაფლავებას და გვირგვინით შეამკონ მისი კუბო. დასაფლავება კვირას, 20 დეკემბერს მოხდება. ნ. ა. ქალანთაროვი ხსენებულ კომისიის თავმჯდომარეთ ითვლებოდა.

✦ **ცხენის ავადმყოფობა.** რადგან თფილისში გავრცელდა ცხენის ავადმყოფობა „საპი", ამიტომ გუშინ გუბერნიის ბეითალმა და ბოქაულმა გამბერგმა გასინჯეს ცხენები ქალაქის პირველ უბანში.

### საჭიროა მეტი ყურადღება.

სახალხო უნივერსიტეტი უკიდურეს მდგომარეობაშია მატერიალური მხრით. მაშინ, როცა სახალხო უნივერსიტეტი სიმპატიური დაწესებულებაა, რომელსაც შეუძლია ძალიან ბევრი გააკეთოს, განკეთოს განსაკუთრებით იმ ხალხისათვის, რომელსაც თავის ხელ-მოკლეობის გამო არ შეუძლია დაიკმაყოფილოს თავის კულტურული მოთხოვნილებანი. სახალხო უნივერსიტეტს ესაჭიროება დახმარება და ვისაც კი შესტკივა გული ჩვენი ხალხის წინსვლა-განვითარებისათვის, მოვალეა მას ყოველგვარი დახმარება გაუწიოს. ნამდვილათ კი, სამწუხაროთ, ასეთ დახმარებას ვერ ვხედავთ, პირიქით, ბევრ ხელოვნურ დაბრკოლებასაც უმზადებენ მას.

სახ. უნივერსიტეტს აქვს სკოლები. შარშან ასეთ სკოლებში 200 კაცი სწავლობდა და ამ მხრით სკოლებმა შესაფერი ნაყოფიც გამოიღო. წელს კიდევ უფრო გაივსო სკოლები. აიღეთ რომელიც გინდათ სკოლა: რუსების სექციის ორ სკოლაში 60 მეტი კაცი სწავლობს. ქართულ სექციას სამი სკოლა აქვს, სადაც 105 კაცზე მეტი სწავლობს. ოსების—ერთი სკოლა (20 კაცი), თათრების—20 კაცი. სულ სახალხო უნივერსიტეტის სკოლებში 205 კაცამდე სწავლობს ამ ჟამათ. რომ უნივერსიტეტს მეტი საშუალება და სახსარი ჰქონდეს, მოსწავლეთა რიცხვი ერთი ორათ გაიზრდებოდა. ისეთი დღე არ იქნება—ამა თუ იმ სკოლიდან შეუძლებლობის გამო სწავლის მსურველი უარით არ გაისტუმრონ. კიდევ ბევრი საქმე აქვს სახ. უნივერსიტეტის გასაკეთებელი, მარა იქაც იგივე უსახსრობა ყოველივე ცდა-მეცადინეობის ფრთებს აკვეცს. დიდ დანაშაულობათ უნდა ჩაითვალოს ასეთ დროს საზოგადოების გულ-გრილობა. განსაკუთრებით ანგარიში უნდა გაუწიონ სახ. უნივერსიტეტის ასეთ მდგომარეობას მუშებმა. სახ. უნივერსიტეტი უმეტესათ მათთვის არსებობს. საჭიროა რაც შეიძლება მეტი მუშა ჩაეწეროს წევრათ და როგორც ზნეობრივათ, ისე მატერიალურათ დახმარება გაუწიოს, თორემ მოსალოდნელია იანვრიდან უსახსრობის გამო უნივერსიტეტის სკოლები სულ დაიკეტოს და მით ამდენი სწავლის მოწყურე სკოლის გარეშე დარჩეს. ჩვენ არ ვკარგავთ იმედს, რომ მუშები ამ საქმეს სერიოზულ ყურადღებას მიაქცევენ და თავიანთი დახმარებით სახ. უნივერსიტეტს მკვიდრ ნიადაგზე დააყენებენ.

**ნორიელი.**

## საპროტესტო წერილი

ჩვენ, თფილისის რკინის გზის დეპოს მუშებმა განვიხილეთ რა სახ. უნივერს. არსებულ სექციასა და ახალ წრეს შორის ამტყდარი დავა იმ დასკვნამდის მივედით, რომ სექცია პირნათლათ ასრულებდა თავის მოვალეობას და არავითარი აუცილებელი საჭიროება არ მოითხოვდა ახალი წრის დაარსებას; ამ დავაში ჩაერია დრამ. საზოგადოების გამგეობა, რომელმაც თავისი ცალმხრივი დადგენილებით, სექციის სახალხო სახლში დღეების წართმევით ასე მდურიდებლათ ფეხქვეშ გათელა ფართო საზოგადოების ინტერესები, რისთვისაც პროტესტს და ჩვენს გულის წყრომას ვუცხადებთ მას. ნუ ჰგონია ნურავის—თითქოს ჩვენ ვერ ვცნობდეთ ვინ ჩვენთანაა და ვინ წინაღმდეგ.

ხელს აწერს 63 მუშა *).

## კოოპერაცია

(მცირე შენიშვნა.)

21 დეკემბერს შესრულდება 65 წელიწადი მას შემდეგ რაც ინგლისელ კაპიტალისტების მიერ ქუჩაში გარეკილმა ქალაქ როჩდელის საქსოვ ქარხნის მუშებმა ერთ პატარა ქუჩაზე გახსნეს კოოპერატიული მაღაზია. ამ ამბავს როჩდელის მცხოვრებნი სიცილით შეხვდენ: აბა, ვინ დაიჯერებდა, რომ ამ პატარა კოოპერატიულ მაღაზიიდან, ბოლოს ვებერთელა ამხანაგობა შესდგებოდა და მთელი ქვეყნის კოოპერატიულ დაწესებულებების ტონის მიმცემი შეიქნებოდა. დღეს მთელი დედამიწის პირზე, ისეთი კუთხე არ არის რომ მათაც არ იცოდენ „როჩდელის პიონერების" სახელი. დღეს ჩვენში სულიერათ დაცემული მუშა ხალხი ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებს, არაფრის იმედი აღარ აქვს და ამ უიმედობით შეპყრობილი გულზე ხელ-დაკრეფილი სდგას. ასეთ მდგომარეობაში მარტო ჩვენი მუშა ხალხი არ არის, ასეთ მდგომარეობაში იყვენ როჩდელის მუშებიც, იგინიც ასეთ უიმედობით იყვენ შეპყრობილნი, მაგრამ სძლიეს მას და ენერგიული მოქმედებით მიზანსაც მიაღწიეს, 1844 წლის 21 დეკემბერს დიდის ვაივაგლახით გახსნეს ქალაქ როჩდელში კოოპერატიული მაღაზია, რომელიც შემდეგ გაიზარდა, გაფართოვდა და ეხლა რამდენიმე ათეულ მილიონ ფრანკ შემოსავალს იძლევა. ეს ცოცხალი მაგალითი აშკარა მაჩვენებელია იმისი, თუ რა შეუძლია ცდას და ენერგიულ მოქმედებას. დროა ჩვენმა მუშებმა შეიგნონ ამ გვარი დაწესებულებების სარგებლობა, თავი დაახწიონ უიმედობას და ეცადონ კოოპერატიულ ამხანაგობების და სხვა ამ გვარ კულტურულ დაწესებულებების დაარსებით გაიუმჯობესონ თავიანთი უკიდურესი მდგომარეობა.

**ლსი.**

*) ხელმოწერილი ორიგინალი ინახება რედაქციაში. რედ.

# სასამართლო

**მიქიაშვილის საქმე.**

როგორც ამას წინეთ მოხსენებული გვქონდა, ადესაში გაასამართლეს გურიაში კარგათ ცნობილი ბოქაული მიქიაშვილი. საქმე სამოსამართლო პალატაში გაირჩა. სხდომის გახსნისას თავმჯდომარემ წაიკითხა ცნობა, რომ მიქიაშვილი სხვა და სხვა სისხლის სამართლის დანაშაულობისათვის მიცემულია პასუხის გებაში, რომლისთვისაც კავკასიაში გაასამართლებენო. საბრალმდებლო ოქმი შემდეგს შეიცავს: მიქიაშვილი ჰკრებდა ფულს ბინის გადასახადის, ჯარიმების, ადმინისტრაციის მიერ დადებული ჯარიმის, საზოგადოებრივის თუ სხვა სახით. ითვისებდა აგრეთვე იმ ფულსაც, რომელიც მას ეძლეოდა გაობობა-განათებისათვის და საპოლიციო ბინის დასაქირავებლათ. გაფლანგა აგრეთვე ის ფულები, რომლითაც პოლიციაში დაპატიმრებულნი უნდა გამოეკვებათ. კანცელიარიის მოხელეებს წაართვა დამატებითი ჯამაგირი. ამ ნაირათ, ექვსი თვის განმავლობაში ადესაში მიქიაშვილმა მიითვისა და გაფლანგა 10,960 მან. 63 კ. გაფლანგული ფულიდან მიქიაშვილს კაპეიკიც არ დაუბრუნებია. საქმის წინასწარი გამოძიების დროს მან თავი დამნაშავეთ იცნო. შეკითხვის დროს განაცხადა, რომ ადესაში რომ მოვედი, ცხოვრების არავითარი სადსარი არ მქონდაო. ბოქაულათ დანიშვნის შემდეგ მას ფული სჭირდებოდა ქალაქში მისვლა-მოსვლისათვის, განსაკუთრებით თავისი უბანის გასაცნობათ, აგრეთვე გრადონაჩალნიკი გზავნიდა საგანგებო მინდობილობით მის უბანს გარეშე ამას გარდა, როგორც განაცხადა, საიდუმლოთ ბევრ ფულს გაძლევდი პოლიციის აგენტებს: რაც გენ. ტოლმაჩევმა მიბრძანაო. შეკითხვაზე—დამნაშავეა ის თუ არა—მიქიაშვილმა განაცხადა: დამნაშავე ვარ, რომ ყველა ფული, რაც შევკრიბე, ნაღდათ არ აღმოაჩნდა, მარა გაფლანგვით კი არ გამიფლანგავსო. შემდეგ იწყება მოწმეების შეკითხვა: ერთმა მოწმემ პოლიცმეისტერმა კუბლიცკიმ თავმჯდომარის შეკითხვაზე—მინდობილი ჰქონდა თუ არა მიქიაშვილს პოლიტიკური აგენტურაო—უპასუხა: არა, ამის უფლება მას არ ჰქონდაო. მეორე მოწმემ, პოლიცმეისტერის თანაშემწემ რაზუმოვსკიმ განაცხადა, რომ, როდესაც მე მიქიაშვილის კაბინეთში რევიზიას ვახდენდი—აღმოაჩნდა ფულების გაფლანგვა; ამ დროს კაბინეთში შემოვიდა ვიღაც კნეინა და განაცხადა, რომ „მივდივართ." ამაზე მიქიაშვილმა წყენით შენიშნა: «თქვენ რა გიშავს კნეინა, მე კი ციხე მოველის, მარა არა უშავს—მაინც კარგათ გავატარეთ დროო". პოლიცმეისტერის მეორე თანაშემწემ კორონსკიმ განაცხადა, რომ მიქიაშვილი მხიარულათ ცხოვრობდა, მუდამ ქეიფობდა. შეკითხვაზე—სად, რა ნაირ საზოგადოებაში ატარებდა დროსო—კორჩინსკიმ უპასუხა: ქალებშიო. ამის შემდეგ პროკურორი ახასიათებს მიქიაშვილის პიროვნებას და მის მოქმედებას, რომელიც ყველგან ტოვებს თავის კვალს და რომელსაც სისხლის სამართალი მოელის კავკასიაშიაც—გაფლანგვისათვის, სიყალბისათვის და სხვ. პროკურორმა ხაზ-გასმით აღნიშნა, რომ პოლიციის ისეთი დაბალი მოსამსახურეები, როგორიც მიქიაშვილია, მთავრობას ხალხის თვალში ყოველივე ნდობას უკარგავს, რომელიც (მთავრობა) მეცადინობს წესიერების დამყარებასო. უმაღლესი მთავრობა ხალხს აჯარიმებს, ეს ჯარიმები კი იკრიბება და დაბალი მოსამსახურეების მიერ იფლანგებაო. როგორც მოხსენებული გვქონდა, სამოსამართლო პალატამ მიქიაშვილს მიუსაჯა სამი წლით გამასწორებელ რაზმში გაგზავნა ზოგიერთ უფლებების ჩამორთმევით. ამასთანავე სასამართლომ დაადგინა ეს განაჩენი არ იქნას სისრულეში მოყვანილი, სანამ მიქიაშვილის შესახებ სხვა, კავკასიაში ჩადენილი ბოროტ-მოქმედებანი არ გაირჩევა.

(რ. ს.)

**მაძებარი პოლიციის აგენტის მოკვლა.**

18 დეკემბერს სამხედრო-საოლქო სასამართლომ დაასრულა მაძებარ პოლიციის აგენტის სარქისოვის საქმე. პასუხის გებაში მიცემული იყვნენ შემდეგი პირები: ტურაბიანცი, აკოპოვი, პეტროსიანცი, შავერდოვი, ტერმინასოვი, და მიროტაძე. საქმის გარჩევამ სამ დღეს გასტანა. სასამართლომ ყველა ბრალდებულნი გაამართლა.

**შეცდომის გასწორება.** ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოყვანილი გვქონდა „ნოვრეჩი"-დან ცნობები ვინმე მიხეილ ვოსკრესენსკიზე. იქვე მოყვანილი გვქონდა ჩვენი საკუთარი ცნობაც ვოსკრესენსკის შესახებ. ჩვენს ცნობაში სწერია: თედორე ნიკიფორეს ძე ვოსკრესენსკი, უნდა იყოს: თედორე პ ო რ ფ ი რ ე ს ძ ე და სხ.. გუშინდელ წერილში—„რეაქციონური ხანა"—პირველ სვეტზე მე-**22** სტრიქონზე ქვევიდან სწერია: „სოფლის რ ე ა ქ ც ი ო ნ ე რ თ ა ბატონ-პატრონნი ისინი გახდენ"—სიტყვა რეაქციონერთა საჭირო არ არის ამ წინადადებაში.

# პროვინცია

**მუხიანის რაიონი.** ხალხი დიდ გაჭირვებაშია. ბოქაულ-ურიადნიკი და ადგილობრივი მოხელეები დადიან სოფლიდან სოფლათ და კრებენ ძველი წლების ნედოიმკებს, ადგილ-მამულის ბაჟს, სასოფლო ბანკის ფულს და სხ. დღეს, მოუსავლობისაგან დაზარალებულ გლეხებს გადახდის ილაჯი არა აქვთ, მაგრამ ვინ უჯერებს. მიაქვთ ყველაფერი, რის წაღებაც შესაძლებელია.

**ს. საყულიაში** რამდენიმე პირის მეცადინეობით გამოირკვა, რომ ფულის ამკრეფთ 1903 წ. არ წაუდგენიათ ხაზინაში ფული, რის გამო ახლა კომლს 2 მან. 60 კ. ხდება.

**ს. ოფშქვითი.** ქუთ. გუბერნატორმა რამდენიმე გლეხს ნება დართო ოფშქვითში მომხმარებელი საზოგადოების დაარსების. საზოგადოება მოქმედებას დაიწყებს იანვრიდან.

— 4 დეკემბერს სტრაჟნიკებმა დაიჭირეს მუშა პარმენ გერსამია და ქუთაისის ციხეში გაგზავნეს.

— **ს. ბაში.** ბანკის ადგილების მოურავებმა მიწის ღალა წელს ერთი ორათ გაადიდეს: შარშან რომ ქცევა 3 მან. იყო, წელს 6 მან. და ცალკე საკავოს ახდევინებენ. მომავალ წლისთვის თვითონ გლეხებს უნდათ ბანკის ადგილების ალება და მოურავების ჩამოცილება.

**ს. ფარცხანაყანევი.** ქ. მარიამ ფხაკაძემ შუამდგომლობა აღძრა ქუთ. გუბერ. წინაშე, მიეცეს ნება სამკითხველოს გახსნისა ფარცხანაყანევში.

**სად. მუხიანი.** მუხიანის სამკითხველოს წევრთა წლიური კრება მოხდება 27 დეკემბერს. გამგეობა სთხოვს არა წევრთაც დაესწრონ კრებას და ჩაეწერონ წევრებათ. **ს. სხიგიშვილი.**

# მუშათა შორის

**თფ. რკ. გზ. მთავარი სახელოსნო.** განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს მუშათა ენერგიული მოთხოვნით დაწესებულ იქნა თვეში ორჯელ ჯამაგირების დარიგება, რაიც დიდ სარგებლობას აძლევდა მუშებს მით, რომ საშუალება ეძლეოდა ყველას ნაღდზე ევაჭრა. დღეს ამ უფლების წართმევის ნიშნებს უკვე ვხედავთ. აი მაგალითად: დღიურ კანტორის მოსამსახურეებს, მემანქანეებს და მათ თანაშემწეებს, აგრეთვე სხვადასხვა დარგის მოსამსახურეებს ამ წლის პირველ მარტიდან უკვე აღებანეს ხელი ამ უფლებაზე. დღეს ჯერი მიდგა მუშების უმრავლესობაზე—ხელოსნებზე. გამოაკრეს განცხადება, სადაც ამბობენ, რომ დღიური ჯამაგირი მთელი თვისა მიეცემა მომუშავეს თვეში ერთხელ და მეორე ჯამაგირათ კი მარტო „აკორდი". აქედან გამოდის, რომ თუ მუშას ექნა აკორდი, ცალკე მიიღებს და დღიურ ჯამაგირს კი ცალკე (თუმცა ერთ და იმავე თვეში), მარა ხდება ხანდახან, რომ მუშას არა აქვს აკორდი, მაშინ კი თვეში უწევს ერთხელ ჯამაგირის აღება. აგრეთვე საყურადღებოა ის გარემოება, რომ უფროსები არწმუნებენ მუშებს, რომ მათთვის საზარალოა ორჯელ ჯამაგირის აღება ვინაიდან ეს, ორჯელ ღვინის გადაკვრას ნიშნავსო, ე. ი. ჯამაგირის დღეს ხომ ჩვეულებათ გაქვთ ქეიფიო და ერთხელ აღება ერთხელ გადაკვრასო. რომელი სჯობიაო? ეკითხება და შემდეგ უმატებს: ჯამაგირის მიღების დღეს მუშები გულგრილათ მუშაობენო, რაიც საზარალოა არტელისათვისო. მაშასადამე, რამდენათაც ნაკლები რიცხვი იქნება საჯამაგირო დღეებისა, იმდენათ სასარგებლოა თქვენთვისო და ურჩევს მუშებს განცხადება შემოიტანეთო და ჩვენც დაგეხმარებითო. გულუბრყვილონი შეიძლება მოსტყუვდენ, მარა ნუ დაავიწყდებათ ის, რომ დიდი შრომა დაიხარჯა მის მოპოებისათვის, რომ ამას მოყვება „კანტორჩიკების" დათხოვა და საშუალება ესპობა მუშას ნაღდზე ივაჭროს და ნისია კი, ვიცით, რა მავნებელიც არის ყველასათვის. მაშასადამე, ყველას ვალია ყურადღებით მოეპყრას ამ მოვლენას სანამ სრულიად არ წაუდიათ, თორემ მერე გვიან იქნება.

გამოვიდა არა-ჩვეულებრივი ახალი კალენდარი, რომელიც ამ დღეებში გავრცელდება, ამ კალენდარში აღნიშნულია შემდეგი:

| | სამუშაო დღე | არასამუშაო დღე. |
|---|---|---|
| იანვარი . | 21, | 10 |
| თებერვალი . | 21 | 7 „ |
| მარტი . | 26 | 5 „ |
| აპრილი . | 17 | 13 „ |
| მაისი . | 22 | 9 „ |
| ივნისი . | 23 | 7 „ |
| ივლისი . | 24 | 7 „ |
| აგვისტო . | 23 | 8 „ |
| სექტემბერი . | 24 | 6 „ |
| ოქტომბერი | 22 | 9 „ |
| ნოემბერი . | 26 | 4 „ |
| დეკემბერი . | 19 | 12 „ |
| სულ | 267 დღე. | 97 დღე. |

აშკარათ სჩანს სამუშაო დღის სიმცირე წელიწადში, რაიც გაუძნელებს მცირე ჯამაგირიან მუშებს თავის რჩენას თუ ეს მართლა სე გატარდა პრაქტიკულათ. წინათ შობას და აღდგომის უქმეებში, გარდა სამი დღისა, ყველა დღეებს მუშაობდენ. ახლა, ახალი კალენდრის თანახმათ, დათხოვის დღიდან ორი კვირა უნდა იუქმონ. სამუშაო დღითი-დღე მატულობს, მაშ, რაღას ნიშნავს ეს არა-ჩვეულებრივი უქმეები? აშკარაა, უნდათ, რომ იძულებული გახადონ მუშები ზედ-მეტი იმუშაონ.

დასასრულ ერთი საგულისხმო მოვლენაც: ამ ბოლო ხანებში გახშირდა „კონტროლები". რომლებიც ქექავენ ძველ საბუთებს, რომლითაც სურთ გაიგონ: რომელ ბრიგადას შეცდომით მეტი პროცენტი აუღია. რამდენიმეს მიაგნეს კიდეც და „გამოუჩხოთქეს". სხვათა შორის ვაგონების განყოფილებაში ერთ-ერთ ბრიგადას 400 მანეთამდე გადაახდევინეს. თურმე რამდენიმე წლის უკან ვინმე ბრიგადერს დაუმზადებელი საქონელი ჩაუბარებია, ის ბრიგადერი დიდი ხანია გარდაიცვალა და ბევრი მისი თანაშემწეებიც და დღეს ეს აზღვევინეს მის მოადგილე ბრიგადას, რომლის უმრავლესობა წევრებისა სრულიად უდანაშაულონი არიან მით, რომ მათ წილი არ ქონდათ აღებულ ფულში. ასევე მოხდა სხვაგანაც.

**ალ. ზაგლობა.**

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ ჩემს მცირე წერილს თქვენ პატივცემულ გაზეთ „მომავალ"-ში. ქალაქის არც ერთი ნაწილი არ არის ისე მივიწყებული, როგორც დიდუბე. აქ არავითარი კულტურული დაწესებულებები არ არის, და არც არავინ ზრუნავს, რომ იყოს. სასწავლებლის უქონლობის გამო ბავშვებს 5—6 ვერსის სიშორეზე უხდებათ სიარული, ზოგს ვერაზე და ზოგს ავლაბარში, რაიცა მეტათ გასაჭირია პატარა ბავშვებისთვის უმეტესათ ავდრების დროს. მივმართეთ თხოვნით ქალაქის გამგეობას—გაეხსნა დიდუბეში ერთი პროგიმნაზია, მაგრამ უარი გვითხრეს და მიზეზათ უფულობა დაგვისახელეს. თუ კი დიდუბეში ქალაქის ხარჯებს სხვებსავით იხდიან, ნუ თუ საჭირო არ არის მათ მდგომარეობაზედაც იზრუნოს ქალაქის გამგეობამ?

**გიგო დიდუბელი.**

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. მელიქ-შახნაზარიანცი

ს ა ს ტ უ მ რ ო

„ბორჯომი"

თფილისი, ვოკზლის ქ. № 17.

ახლათ შეკეთებული სუფთა ოთახები ხელმისაწდომ ფასებში: დღე და ღამით 50 კ.-დან 3 მ.-დე. თვიურათ ძლიერ დაკლებულ ფასეაში.

პატივისცემით **მიხაილ ქოიავა** და
(0—10) **მგზენი პერტანავა.**




ამ ეტიკეტით იყიდება ჩვენი ღვინო ყველა საბაკალეინო მაღაზიებში, სასმელების დუქანში, ტრაქტირებში და სასტუმროებში.

10 ბოთლს ზევით უგზავნით ვუმთავრესი საწყობიდან ჩვენის ხარჯით მხოლოდ თფილისში.

**По такому этикету продается наше вино во всѣхъ бакалейныхъ магазинахъ и питейныхъ заведеніяхъ.**

**Свыше 10 бут. доставляется нашимъ подводомъ въ Тифлисѣ.**

უმთავრეს საწყობიდან ღვინო დაეთმობათ შემდეგ ფასებში:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| № 1 | „ | — 20 к. | 16 | „ | — 3 р. |
| № 2 | „ | — 25 к. | 16 | „ | — 3 р. 60 к. |
| № | | — 35 к. | 16 | „ | — 5 р. 10 к. |
| 4 | „ | — 50 к. | 16 | „ | — 7 р. |

Адресъ: Тифлисъ, Русская ул. д. № 7. **Мухаилу Николаевичу Кодаловъ.**




1 მანეთიდან ფულის გადახდა ნაწილ ნაწილათ 1 მანეთიდან

**ხელის მაშინები** 25 მანეთიდან

იყიდება იმპერიის ყველა ქალაქებში განსაკუთრებით საკუთარ მაღაზიებში.

თფილისში სამი განყოფილებაა: 1) გოლოვინის პროსპექტზე; სასახლის პირდაპირ; 2) ვაგზლის ქუჩა, სახლი ენფიანჯიაცისა; 3) ავლაბარში, კახეთის ქუჩაზე, სახლი ჯალალოვისა.
20—16




# პატეფონი

დასაკრავი უნემსო პლასტინკები

ძმები **პატე** პარიზში.

ქვეყანაზე საუკეთესო მოლაპარაკე მანქანა






ორგვერდიანი პლასტინკები 24 სმ., 28 სმ., და 50 სმ.

მდიდარი რეპერტუარი ყველა ენებზე

აგრეთვე ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე.

ახლათ ჩანაწერი შეუდარებელი არასტასია დიმიტრის ასულის ვიალცევისა

აგრეთვე ინგლისურ და ნემეცურ ორკესტრებისა

ერთად ერთი წარმომადგენელი **კარლ შუმანი** საოპტო საწყობი თფილისში, გოლოვინსკი, 10

ფასები 20 მან. და ზევით.

ამიერ კავკასიის ყველა ქალაქებში საჭიროა ნარდათ მყიდველები მონოპოლიური ვაჭრობის უფლებით.

ქუთაისში: ა. რ. თაბაგარი. გორში: ვ. გ. მუხაძე. 6—4